№ 69. 5 აპრილი, სამშაბათი. 1866—1883 5 აპრილი, სამშაბათი. № 69.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასო-მოკვეთილით ასოზე ნახევარი კაპეიკი, ნუსხურის სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" დღის ერთი შაური.

პირველის აპრილიდამ ამ 1883 წლის დამლევამდინ

„დროება"

ღირს გაგზავნით 7 (შვიდი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

### რუსეთიდამ

**1 აპრილს**

პეტერბურღი. ამ დღეებში გამოცხადდება იმპერატორის გვირგვინის კურთხევის ცერემონიალი. ფინანსთ სამინისტრო ისტუმრებს ოსმალეთში დელეგაციას ახალი სავაჭრო კონვენციის შესადგენად.

5-ს ივნისს ხარკოვში იმართება კრილობა ცხვრის პატრონებისა, მატყლით მოვაჭრეთა და ფაბრიკანტებისა.

**2 აპრილს**

სდგება ახალი კამისია დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა განიხილოს იმ ტაძრის პროექტი, რომელსაც აშენებენ განსვენებული იმპერატორის სახსოვრად.

**3 აპრილს**

პარასკევს მათმა იმპერატორებითმა დიდებულებამ იმპერატრიცით ინებეს პეტერბურღში მობრძანება. გუშინ ინებეს უმთავრესი შტაბის მხატრობების გაშინჯვა და საგიდროგრაფიო დეპარტამენტისა. აგრეთვე გაშინჯა უკანასკნელი ნიმუშები რუსეთის არტილერიისა და გუშინვე დაბრუნდნენ გატჩინოში.

### სამზღვარ-გარეთიდამ

**31 მარტს**

რომი. დღეს გარეგან საქმეთა მინისტრმა მანჩინიმ სენატში დაამტკიცა ის თავისი მოხსენება, რომელიც ადრე სადეპუტატო პალატაში შეიტანა იტალიასა, ავსტრიასა და გერმანიის შორის კავშირის შესახებ და თანაც დაუმატა, რომ ამ კავშირს საფრანგეთის წინააღმდეგი არაფერი აქვსო, მაგრამ იტალია ვეღარ მოითმენსო, რომ საფრანგეთმა შუა ზღვის ნაპირებზედ კიდევ კლანჭი რასმეს მოსდოსო.

**3 აპრილს**

დუბლინი. ირლანდიელი შეთქმულების მოთავე ბრედის გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა:

პრაგა. პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო შეკრებილება სოციალისტებისა და დაატყვევა იარაღები საომარი სურსათი და სხვა-და-სხვა ქაღალდები. 5 სოციალისტი დაატყვევეს.

ლონდონი. გლადსტონის გაზეთი „Daily News"-ი იწერება, რომ იტალიისა, ავსტრიასა და გერმანიას შუა კავშირი მხოლოდ მაშინ დაარღვევს სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობას, თუ ავსტრია მოინდომებს თვისი სახელმწიფოს გავრცელებას ბალკანის მხარეზე რასაც, რასაკვირველია, რუსეთი არ მოითმენს.

## ხიზნების მდგომარეობა

ტფილისი, 4 აპრილს.

ამ სამი წლის წინედ ჩვენს ლიტერატურაში დიდი ლაპარაკი აღძრა ხიზნების მდგომარეობამ, მაგრამ, საუბედუროდ, ამ საყურადღებო საქმეს ჯეროვანი განსაზღვრა ვერ მიეცა.

ხიზნების მდგომარეობა ისევ ისე აუხსნელი და გახლართულია. არაფერი იურიდიკული ნორმით ანუ კანონით არ არის განსაზღვრული მამულის პატრონების უფლება და დამოკიდებულება ხიზნებთან. პირ იქით ამ უკანასკნელების ბედი და სული მამულის მეპატრონეთა ხელშია და მათ ქეიფზედ არის დამოკიდებული მამულზედ იჯარის აწევ-დაწევა, რასაკვირველია, რადგანაც ცხოვრება თანდათან ძნელდება, როული საგანი ხდება და მასთან მოთხოვნილებანიც მრავალგვარდებიან, მამულის პატრონების მადასაც ემატება და მასთან თითქმის გეომეტრიული პროგრესიით იწევს მაღლა ხიზნების გადასახადიც. ეს გარემოება ჩვენ მეტის მეტ უსამართლობად მიგვაჩნია შემდეგი საბუთის ძალით. მამულის პატრონები, მაგალითებრ დუშეთის მაზრაში, ხიზნებს იმისთანა უვარგისს ადგილებში ასახლებდენ, სადაც შეუვალი ტყეები, ჭაობები და ხევები იყო. ხიზნებმა, მართალია იმ დიდრონი ტყეების გაკაფვით დიდი ზარალი მოუტანეს ჩვენ მხარეს,—თუმცა ეს ცოდვა უფრო მებატონეებს უნდა დაეწეროთ კისერზედ, სანამ ხიზნებს, მაგრამ იმდენი სისხლი და ოფლი ჩააქციეს, რომ ის უდაბური ღრეხევები ბოლოს მშვენიერ სახნაურმიწებად აქციეს. უვარგისი მიწები ხიზნების მუშაობით და შრომით საუკეთესო მამულებად გარდაიქცნენ და რამდენიც მამულები კეთდება, იმდენად პატრონებიც იჯარას მაღლა სწევენ, ეს შემთხვევა ხიზნებს ენერგიას ართმევს, მამულის შემუშავებას უგულოდ ეკიდებიან და ამის გამო არამც თუ მარტო ხიზნები და მამულის პატრონები არიან წაგებაში, თვით მიწის კულტურაც ერთ ალაგას ჩერდება ჩვენ ქვეყანაში.

თითქმის ჩვენი ხიზნებისთანა მდგომარეობაში არიან ზოგიერთი გლეხები სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში და პოლშაში, რომლებსაც იქ „ჩინშევიკებს" ეძახიან. ჩინშევიკებზე კითხვა ვრცლად შეიმუშავა პოლშურმა და რუსულმა ლიტერატურამაც. მართებლობამაც ყურადღება მიიქცია ჩინშევიკების მდგომარეობას და ამ ცოტა ხანში კარგად თუ ავად გათავდება მათი საქმე.

ერთხელ თითქოს ხმა გაისმა, რომ მართებლობამ ხელი მოჰკიდაო ჩვენი ხიზნების საქმესაც, მაგრამ არც ეს საგანი წაუვა იმ საზოგადო ხვედრს, რომელიც თან მოსდევს ჩვენში ყველა რეფორმებს . . . . .

სასურველია, რომ მართებლობამ ხიზნების საქმეს მალე მოჰკიდოს ხელი და დაიხსნას ეხლანდელი უსწორმასწორო მდგომარეობიდან როგორც მამულის პატრონები, ისე ხიზნები.

ჩვენის აზრით სამართლიანი იქმნება, რაც ეხლა ხიზნები მამულებსა ხმარობენ, ის მამულები მებატონეთაგან მართებლობამ შეისყიდოს იმავე წესით, რა წესითაც ხდება უწინდელი ყმების მამულების გამოსყიდვა. სამწუხარო უფრო ის არის, რომ ზოგიერთი მამულები, რომელიზედაც ხიზნებია დასახლებული, ვალებში ისყიდება და იმის მაგიერ, რომ თვით ხიზნებს შეასყიდვინონ, ისე კერძო პირთ ხელში გადადის, მაგ. დუშეთის მაზრაში არის ორი სოფელი ჭონტილი და ქათამამზვარე, რომლებიც ჭილაშვილებს ეკუთვნით.

ეს მეხუთე თაობა მოდის, რაც ამ ალაგებში დასახლებულან ოსები. ის ალაგები, სადაც უწინ გარეული ნადირის მეტი არავინა ბუდობდა, დღეს საუკეთესო სახნავ მიწებად არიან გადაქცეულნი ამ ოსების შრომით და მებატონეებს მანეთიდან ეხლა ოც-დაოთხ მანეთამდინ აუწევიათ კომლზედ გადასახადი. ჭონტილსა და ქათამამზვარეში მოსახნავი მიწებია სულ ექვსასი დესიატინა, ანუ ათას ორასი დღიური, და ეს ამოდენა მამული წლეულ ვალში გაიყიდა ტორგით სულ 1,615 მანეთად. ტორგი მოახდინეს, ტფილისში და თვით ხიზნებს ჯერაც არ შეუტყვიათ. სიმართლე მოითხოვდა, რომ საკუთარი უწყებით შეეტყობინებინათ ტორგის დანიშნვა იმათთვისაც, ვისაც ოფლი დაუღვრია და ამაგი დაუდვია ამ მამულზედ. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ჭონტილელი და ქათამზვარელი ოსები თითქმის დატყვევდებოდენ და ამ მამულებს კი სხვის ხელში არ ჩააგდებდენ.

## დღიური

ჩვენის პოეტის ორბელიანის გარდაცვალებაზედ ბ. ტურიაშვილისაგან მივიღეთ ეს დეპეშა უზუგდიდამ, 1-ს ამ თვეს გამოგზავნილი:

„გრიგოლ ორბელიანის, ჩვენის დიდებულის ნაციონალურის პოეტის გარდაცვალება ზარდამცემი იყო ყველა აქაურ ქართველთათვის. გუშინ გადაიხადეს პანაშვიდი."

***

ამავე საგანზე (30 მარტს) გვწერენ ახალ-სენაკიდამ აქაურ ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი:

„მუხთალმა წუთის სოფელმა—უწყალო სიკვდილმა, 21 ამა მარტისას, უეცრად დაგვცა მთელის საქართველოს შვილებს მოულოდნელი ზარი: წამში წაგვერთო ჩვენი უდიდესი პოეტი, ყველასაგან საყვარელი და პატივცემული საქართველოს შვილი. ჩვენ ახალ-სენაკის ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი უზომოდ მწუხარენი, მწარედ ვგლოვთ იმის დაკარგვას და ამასთან ვსთხოვთ ნათესავთ, რათა მათ ჩვენგანაც მიიღონ ეს გულითადი მწუხარება. ეს არის—მივდივართ ტაძარში, გადვიხადოთ პანაშვიდი ჩვენს საუკუნოდ დაუვიწყარს პოეტზე და გულ მხურვალენი, მუხლ მოდრეკით შევევედროთ მეუფეს, რათა მან მიანიჭოს მშვიდობა სულსა მისს იქ, სადაც ცხოვრება განუსაზღვრელია."

***

პეტერბურღიდამ ატყობინებენ გაზ. „რუსის კურიერს", რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვს კოხანოვის კომისიაში წარუდგენია თავისი აზრი დაღისტანში ხშირი არეულობების შესახებ. კავკასიის მთავარ მართველი დაღისტნის ხშირ-ხშირ აჯანყებას, თურმე სოფლის მოხელეებს აბრალებს, რომელთაც საზოგადოება ირჩევსო. თავ. დონდუკოვის აზრით მამასახლისებად

და სხვა მოხელეებად რომ რუსები დანიშნონ, . .

* * *

იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ აბასთუმნის წყლების გასამართავად გადადებული იყოვო 73,000 მ.; მაგრამ რადგანაც ის წყლები ჯერ კარგა გამოკვლეულნი არ არიან და ვერც იმდენ ავად-მყოფებს იზიდვენ, ამიტომ საკმაოდ უცვნიათ მხოლოდ 8,000 მ. გადადება.

* * *

სამოქალაქო ნაწილის გამგებელს სტაროსელსკის ტელეგრამით მოუხმია ბაქოდან 7 აპრილისთვის დეპუტატები, რომლებმაც უნდა მოილაპარაკონ ბათუმში ზოგიერთი მოწყობილების გასამართავად, რომ შესაძლო იყოს ბათუმის ნავთსადგურიდან ნავთის გატანა.

* * *

ხევიდამ შემოგვჩივიან ქარის მზიდავენი მეურმენი:

„მოგმართავთ თქვენ, როგორადაც ხანგრძლივ უკურნებელის სნეულებისაგან ავადმყოფნი და მოველით, რომ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გავახმაურებთ ჩვენს წყლულებსა და მივიქცევთ ყურადღებას სამართლისა. საქმე მდგომარეობს მას შინა, რომ ბალთის „ზასტავის“ უფროსი ბ. ტ. მ. ეს მეორე წელიწადია, რაც შეუწყალებლად გვეპყრობა. მაგალითად, ვინმე ჩვენგანი ადგილობრივის სასამართლოდამ მოწმობას იღებს და მიდის ერთის ან ორი ცხენის ურმით ვლადიკავკაზში, საიდამაც უნდა მოიტანოს აქვე ადგილობრივ მოვაჭრე პირის ვისიმე საქონელი ქირით; გავლით იქნება არ დააბრკოლოს და გაუშვას „ზასტავაში“, მაგრამ უკან დაბრუნებული როდესაც მოადგება ამ „ზასტავას“ მეურმე, მაშინ რა ბედიც მოელის მას, ეს კი მარტო ბ. მ—მა იცის! შენ მოგაქვს საქონელი 43—57 ვერსის მანძილზე, ადგილობრივის სასამართლოდამ მიღებულს მოწმობაშიაც ასე გიწერია; მაგრამ ხსენებული უფროსი ყურსაც არ იბერტყავს იმის გამო, თუ მოწმობაში მოკლე მანძილზე გავლა გიწერია შოსის გზაზე, თუ შუათანა მანძილზე და განუსაზღვრელად მანძილისა გვახდევინებს შოსის გზის ხარჯს ერთს ორად, ესე იგი ვლადიკავკაზიდამ ანანურამდე; (ვლადიკავკაზიდამ ანანური სიშორით 130 ვერსის მანძილზე მდებარეობს). ამ გვარის უზომო მოთხოვნილების ასრულება თუმცა ფრიად ეძნელება საწყალ მეურმეს, მაგრამ რაქნას?! ხედავს, რომ ჯოჯოხეთისა და სამოთხის კლიტე—ორივე იმ ჟამად ბ. მ—ს უპყრია ხელში!..

### „დროების“ კორრესპონდენციები

**პეტერბურღი**, 24 მარტს. ჩვენის საყვარელის პოეტის **თ. გრიგოლ ორბელიანის** გარდაცვალებამ თავ-ზარი დაგვცა აქაურ ქართველებს. ეს ამბავი მით უფრო საზარო და სამწუხარო იყო ჩვენთვის, რომ ნაცვლად მისის ორმოც-და-ათის წლის ლექსთ თხზულების იუბილეის უქმობისა, რომელსაც ჩვენ შარშანდელს აქეთ მოუთმენელად მოველოდით, მუხთალმა სიკვდილმა უეცრად მოგვისპო ეს იმედი და ხელ ახლად მოგვაგონა, რომ მას შეუძლიან გამოარჩიოს და ხელიდგან გამოგვაცალოს ვინც კი ამ ქვეყანაში ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელია და ამით მოგვისპოს ყოველი ჩვენი წადილი, ყოველი ჩვენი განზრახულობა. საკვირველია კაცის ბუნება. ყველამ ვიცით, რომ რაკი შესაზარი სიკვდილის ფრჩხილი კაცს მოხვდება, სულ გათავებულია საქმე. მაგრამ როდესაც ეს ფრჩხილი ხვდება შენ გულის საყვარელს ანუ საზოგადოების უკეთესს და გამოჩენილს წევრს და მამულის შვილს, მაშინ დიდხანობამდინ არა გჯერა, რომ ეს სულიერი შეიქნა სიკვდილის მსხვერპლად და სამუდამოდ გამოგესალმა. დიდხანობამდინ „ებრძვი ამ ოცნებას და მასუკან, შემდეგ რამოდენიმე ხნისა, ძლივს-ძლივობით ურიგდები ნამდვილ მოვლენას.

ჩვენს მანუგეშებლად განსვენებულმა ისეთი მემკვიდრეობა დაგვიტევა, რომ საშვილიშვილოდ მოსახსენებელი იქნება და გრიგოლ ორბელიანის სახელს ჩვენ საწყალ ლიტერატურიდგან ვერ აღმოფხვრის ვერც დრო და ვერც სიკვდილი. ეს მემკვიდრეობა, როგორც მკითხველმა იცის არის მისი პოეტიური თხზულებანი, რომელნიც, სხვა ღირსებათ გარდა, სავსე არიან მამულის სიყვარულით და არა მგონი მოიძებნოს ჩვენში ისეთი გულგრილი და გულ ქვავი კაცი, რომელმაც გულ დადებით წაიკითხოს მისი ლექსები და მამულის სიყვარული არ აღეძრას მას გულში; ეს ისეთი ღირსებაა, რომ ყოველი ნამდვილი მამულის შვილი დიდებით და პატივით მოიხსენიებს განსვენებულსა და იტყვის: დიდება და პატივი ჩვენო საუკეთესო სიყვარულისა გრძნობით სავსე მამულის შვილო. ვის არ ახსოვს ჩვენ ყმაწვილებს, მისი მამაშვილური ალერსიანი მიღება, გონივრული სჯა, გულ ნაკლულობა ახლანდელ მდგომარეობისა და მისი დარიგებანი...... წუხელის აქაურმა მოსწავლე ყმაწვილებმა თანაგრძნობის ტელეგრამა გაუგზავნეს განსვენებულის ძმის წულს თავ. გიორგი ორბელიანს. შაბათს დასაფლავების დღეს თავ. ნიკოლოზ მინგრელიისა ახდევინებს პანაშვიდს, სადაც მთელი აქაური კავკასიელები აპირებენ დასწრებას. დღეს კი მისმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ გადაახდევინა ძველს ჩვენს ეგზარხოსს და ახლანდელს მოსკოვის მიტროპოლიტს იონიკეს თავის სასახლის ეკკლესიაში პანაშვიდი. ამ პანაშვიდზედ, სხვათა შორის, დიდმა მთავარმა მიიწვია ჩვენი ქართველი მოსწავლე ყმაწვილები. ეს მაგალითი პირველია რუსეთში, რომ სასახლეში მიეწვიოთ თუნდა ეკკლესიაში, მოსწავლე ყმაწვილ კაცობა, სტუდენტობა. პანაშვიდზედ ბძანდებოდა, რასაკვირველია დიდი მთავარი მთელი თავის სახლობით და ამალით, თავ. დონდუკოვ-კორსაკოვი, გრაფი ლორის-მელიქოვი, ტფილისის გუბერნატორი თავ. გაგარინი და მრავალნი სხვანი სახელმწიფო რჩევის წევრნი და წარჩინებულნი პირნი.

შემდეგ პანაშვიდისა დიდმა მთავარმა შეიწვია ყველანი თავის ზალაში, განუცხადა მოწვეულს საზოგადოებას, რომ მისი დიდებულება დიდად სწუხს თავ. გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანის დაკარგვას. შემდეგ ამისა დიდი მთავარი მოუახლოვდა ჩვენ ყმაწვილებს და ყველას თვითეულად გამოჰკითხა მის ვინაობაზედ, სწავლაზედ და სხვ.

ამ გვარი ყურადღება მისის უმაღლესობისა, რასაკვირველია, ყველასთვის ღირს საცნობია.

*დროებითი პეტერბურღელი.*

**თ.-ხ.-შურა** 22 მარტს. 23-ს მარტს, დილით ხმა გაისმა ქალაქში თავადის გრიგოლ დიმიტრის-ძის გარდაცვალებისა. ამ ხმამ ზარი დასცა დაღისტანს. აქაურ ეკკლესიაში პანაშვიდზე მრავალნი პირნი, დიდი და პატარა შეიყარენ, და მწუხარის გულით შევევედრეს სული ახლად გარდაცვალებულისა, რომელმანც უმთავრესი თავისი სამსახური გაატარა დაღესტანში.

26-ს მოგვივიდა ამბავი, რომ ამ დღეს ასაფლავებენო ორბელიანს. თავადმა მიხეილ ნაკაშიძემ გამოგზავნა ტფილისს დეპეშით, ჩვენ, ქართველთა გულის პასუხი და მწუხარება. 11-ს საათზე შევიყარენით ქართველნი ეკკლესიაში და მოვისმინეთ პანაშვიდი.

შემდეგ პანაშვიდისა ერთმა აფიცერმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც სთქვა: „ავარიაში, როდესაც ჰამზად ბეგმა ამოწყვიტა იქაური ხანის შვილები, 1836 წელსა, გამგებლად დანიშნეს მაიორი თავადი გრიგოლ ორბელიანი. ავარიელებმა გაიგეს თუ არა ეს ამბავი, ჯერ შეწუხდენ და დიდად უკმაყოფილონი დაშთენ. ამბობდენ, ჩვენ უწინდელ დროს საქართველოს ვიკლებდითო და ქართველთ ვატყვევებდითო, ახლა ქართველი დაგვინიშნეს ბატონადაო და სულს ამოგვართმევსო, რომ ადრინდელი ჯავრი ამოიყაროს ჩვენზედაო. ზოგიერთმა კიდეც გაბედა საჩივარი დაღესტნის მთავრობასთან და სთხოვდენ თ. ორბელიანის გამოცვლასა და მის მაგივრად რუსის დანიშვნასა. ამათ ყური არავინ არ ათხოვა. შემდეგში ავარიელები დარწმუნდენ, რომ დიდად შესცდენ: ისე შეიყვარეს გრიგოლ დიმიტრის-ძე, რომ ოდესაც გადმოიყვანეს იქიდან მეხტულის ხანის თანაშემწედ, ახლა მთავრობას იმასა სთხოვდენ, რომ ისევ ის დაარჩინონ და სხვა ამის მეტი გამგებელი აღარ უნდოდათ, აგე ამბობდენ, ჩვენი უფროსი კი არ არისო, არამედ ძმა და მამაო. ეხლაც მრავალნი დაღესტნის მოხუცი ლეკები იგონებენ და დიდის პატივით იხსენიებენ განსვენებულს“.

მოხუცი აფიცრის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

გ. ბ.

### სიტყვა

**მაღალ ყოვლად სამღვდელოს საქართველოს ეგზარხოსის პავლესი, წარმოთქმული თავად გრიგოლ ორბელიანის წირვის ჟამს ანჩისხატის ეკკლესიაში 26 მარტს, დასაფლავების დროს.**

მოვედით უკანასკნელი ამბორისყოფვა გცეთ ძმანო, მკვდარსა, მადლითა ღვთისათა.

როდესაც ჩვენს ახლო-მყოფს, ძვირფასს კაცს შორს გზაზე ვისტუმრებთ, ჩვენ ყოველთა ნათესავთა, მეგობართა და მცნობთა გაცილება ვიცით სხვა-და-სხვა გვარის ალერსითა. ძვირფას მეგობართან გამომშვიდების ჟამს ყოველივე გვაგონდება: რა იყო ჩვენთვის, გვაგონდება მისი კეთილნი თვისებანი, მისი მუსაიფი, ნამოქმედები, სიტკბოება მასთან გამოცდილი. გამომშვიდების დროს დაღონებით და წუხილით შესამჩნევად ისახება ის სიცარიელე, რომელიც მის დაშორების შემდეგ ახლო მყოფთ ნათესავებსა და მეგობრებში ჩნდება. გამომშვიდებასთან მგზავრს გზას ულოცვენ: ეუბნებიან რომ ღმერთმა უცხოობაში ყოველს ჭირსა, გაჭირებასა და განსაცდელს გადაარჩინოს და ბედნიერი, განწყობილი სიცოცხლე მიანიჭოს.

უფრო ბუნებითი არ იქნება რომ ვაცილებდეთ ალერსით და კეთილის სურვილითა ჩვენთვის ძვირფასს კაცსა, რომელიც საუკუნოდ გვშორდება და მიდის სამუდამოდ ამ წუთის ქვეყნიდგან ადგილსა საუკუნოსა, რომლით არა არს უკუმოქცევა ამა სოფელსა? უფრო ნამდვილი არ არის, ძმანო და დანო, ვაცილებდეთ ალერსით და კეთილის სურვილითა ძვირფასს განსვენებულსა მონასა ღვთისასა თავადს გრიგოლსა? მიმავალი მხარესა საუკუნოსასა იგი უტევებს თავისზე ძვირფასს მოხსენებასაც და საგლოველ სიცარიელესაც რომელსაც მისს მოშორებასთან ვგრძნობთ. და საუკუნოს ქვეყნის საიდუმლო გზაზე არ ეჭირება კეთილი ჩვენი სურვილი, ჩვენი ვედრება სასუფეველის კარად მის მიწევნისათვის და სასუფეველის სავანესა შინა მის დამკვიდრებისათვის?

მოვედით, უკანასკნელი ამბორის ყოფვა ვცეთ, ძმანო, მკვდარსა.

აქ, სადაც ყოველივე გაგვახსენებს, რომ მხოლოდ მარტო ღმერთია დიდი, უსამზღვროდ დიდი, ყოვლად სრული ყოვლად საქებელი, ყოვლად სადიდებელი, აქ ღვთისა ტაძარში როგორ გავკადნიერდეთ ხრწნილის კაცის შესხმისთვის? წინაშე ღვთისა, ერთად ერთის მხოლოდ დიდისა—ყოველივე არა-რაა: არა-რანი არიან უმაღლესნი უუსრულესნი სულნი,—ქერაბინნი და სერაბინნი; არა-რანი არიან უდიდესნი მართალნი, უძლიერესნი კაცნი. წი-

ნაში ღვთისა ყოველი ქმნილება უმეტეს არა-რაა, ვიდრე წვეთი წყლისა უსამზღვრო ზღვისა წინაშე, ერთი ქვიშის მარცვალი მრთელის მსოფლიოს წინაშე. რაღა უნდა ვიყვნეთ მის წინაშე ჩვენ არა-რანი კაცნი ყოვლის ჩვენის მცირეს სიკეთითა და სისრულითა, მრთელის ჩვენის დიდებითა? როგორ უნდა ვაქებდეთ კაცსა ყოვლად უუსრულესის არსის წინაშე? მაგრამ მეორეს მხრით კეთილი გრძნობა როგორ არ გამოვათქმევინოთ ჩვენ გულსა? როგორ ვიპოვოთ გამოსავალი გზა ამ თითქოს გამოუსვლელის მდგომარეობისა? დიაღ, წმინდათა შორის თვისთა უკეთუ ღმერთი არ ყოფილიყო საკვირველ; უკეთუ მდიდარნი ბუნებითნი ნიჭირებანი კაცისანი არ ყოფილიყვნენ მინიჭებულნი ღვთისაგან; უკეთუ დიდება კაცის კეთილთა ნამოქმედართა არ ეკუთვნოდეს უმეტესად ღმერთსა, რომლისა ძლითა ვიქმთ ყოველს კეთილსა: ვერავინ გაბედავდა ღვთის ტაძარში, ადგილსა განსაკუთრებითის მადლით სამყოფელსა, წარმოეთქვა ქება ჩვეულებრივის კაცისა. გარნა რაკი ვიცით, რომ დიდის ნიჭითა და კეთილის საქმეებით, თვით მის მქონებელ კაცზე უმეტესად იდიდება ღმერთი, მომნიჭებელი ყოველთა სიკეთეთა,—ჩვენ ვკადნიერდებით მოკვდავის კაცის ქებასა, მეტადრე კეთილის ქრისტიანისასა.

განსვენებული მონა ღვთისა თავადი გრიგოლი შფლისაგან უხვად იყო დასაჩუქრებული მრავალ გვარის ნიჭიერებითა. ღმერთმა მიანიჭა მას მამაცის გულადობა, რომლითაც იგი შეიქმნა გამოჩენილი მხედარი. ღმერთმა მიანიჭა სიბრძნე, რომლითაც შეიქმნა ბრძენი და კეთილი გამგებელი. ღმერთმა მიანიჭა პოეტის სული, რომლის შემწეობით კაცს ტკბილად აულელვებდა გულსა, აღუძრავდა კეთილ, წმიდას გრძნობასა და სრბოლასა, თვისის ნებისამებრ, ასე ამბობენ, აღტაცებით ახარებდა და ატირებდა. ღმერთმა მიანიჭა ხანგრძლივი სიცოცხლე, სახელოვანის და კეთილის საქმეებით დამშვენებული. იგი სამსახურში ყოფილა, როდესაც უხუცესი ჩვენთაგანი არც კი დაბადებულა და უმსახურნია ისე ჩინებულად, რომ მისი სამსახური ძვირად დაუფასებიათ ზეირგვინოსანთა, პატივცემული ყოფილა სამსახურის ამხანაგთა, სიყვარულის და მადლობის გრძნობით აღგზნებიათ გული რომელთა სიკეთისათვისაც მიმართული ყოფილა მისი სამსახური. დიდება ღმერთსა ყოვლისა ამისათვის! დიდება მასაც, რომელმაც არ დაფლა ღვთის მიცემული ტალანტი, და მოიხმარა საქმისათვის,—დიდება სათნო მოღვაწესა საზოგადო სიკეთისათვის,—განსვენებულსა თავადსა გრიგოლსა.

მაგრამ საიდუმლოება განსხვავებულის სიყვარულისა, რომელსაც აღძრავდა განსვენებული ყოველს კაცში მასთან მიახლოვებულში არ მდგომარეობს ამ მოხსენებულ თვისებაში და საქმეებში, თუმც იგინიც სიყვარულის ღირსნი არიან. მიზეზი ამ სიყვარულისა სხვაა, უფრო ულრმესია.

ზოგჯერ უფალი მოავლენს ჩვენს ცოდვილს ქვეყანაზე განსაკუთრებულს გვამს, განსხვავებულის მოსახიბლველის ზნეობითის აგებულებისას, განსხვავებულის სულიერის ბეჭდით აღბეჭდილსა, განსხვავებულის მიმზიდველობითა, რომლითაც ყოველს იმხრობს. ამგვარნი გვამნი საცაკი ჩნდებიან ყოველგან შეაქვთ სიცხოველე, მშვიდობა და სიყვარული. იგინი თითქოს გრძნეულებით ამშვიდებენ და აყუჩებენ გაბოროტებულს და განძვინებულ სულსაცა; იგინი თითო წამით მაინც სიყვარულს აგრძნობინებენ სულთაც, რომელთა შინა სჩქეფს მძულვარება და ავობა, და ამით აძლევენ რა ამ სულთა შემთხვევას სიყვარულის სიტკბოების ნახვისას, მოიხმობენ მათ მუდმივის სიყვარულისთვის. იგინი ვლიან საფრხეთა შორის, მაგრამ საფრხე ერიდება მათ შეეხოს. იგინი ეღირსებიან დიდებასა და პატივისცემასა; გარნა მათი დიდება და პატივი არ აღაგზნებს სხვებში შურსა და მტრობასა. რომელთამე რჩეულთა ეს ნიჭი თვისდამი კაცთა მიმზიდველობისა — უდიდესი ღვთის ნიჭია ცოტათათვის მიმადლებული. თვით ესე კაცნი—საკუთარი ნაბოძვებია მადლია ღვთისა ქვეყნისათვის. ყოვლად სრული გამომსახველი გამოთქმა ამ გვარის კაცებისა იყო წმიდა მოციქული და მახარობელი იოანე ღვთისმეტყველი, საყვარელი მოწაფე ქრისტესი. ზნეობით იგი მაღლა არ იდგა პირველ უმაღლეს მოწაფეთა პეტრესა და პავლეზე; იგი ზნეობით დაბლაა წინამორბედს და ქრისტეს ნათლისმცემელს იოანეზე, რომელზედაც თვით უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან ბრძანა, რომ **არა აღდგომილა არს ნაშობთაგანი დედათა უფროს იოანე ნათლისმცემელისა** (მათ. 11, 11). გარნა ყოველ ქრისტიანის ქვეყნის წარჩინებულ კაცებზე უმეტესად ჰქონდა ნიჭი კაცთა სიყვარულის, მიეზიდნა. იგი საყვარელი მოწაფე ქრისტესი, ედვა ხელთაზედა უფალს იესოს; და ეს უდიდესი უალრესობა, ეს უდიდესი პატივი—ღმერთ-კაცის ხელთა ზედა დება, მოწაფეთაგანში არავისში არ სძრავდა შურსა. საფრხეობა და მძიმე მწუხარება თითქოს ვერ ბედავს მის მიახლოებასა. იგი წმიდა პეტრესთან შედის ღვდელთ-მთავრის ეზოსა, რათა იხილოს სასჯელი ქრისტესი. და პეტრე ამ გაბედულებისათვის მიეცემა საშინელს განსაცდელსა და ცოდვასა—უარ-ყოფასა ქრისტესაგან; იოანე კი არ ეძლევა არავითარს საფრხესა და განსაცდელსა ღვდელ-მთავრის მსახურებაში ყოფნის დროს, თუმცა კი იგინი იცნობენ, რომ ქრისტეს მოწაფეა... შემდეგ ჯვარცმად მიცემისა იესო ქრისტესსა, მოწაფენი გაიქცენ და ველარ ჰბედავდენ გოლგოთის მიახლოვებასა; იოანე კი გაბედვით და მშვიდობით სდგა ქრისტეს ჯვართან და ჯვარიდგან ღმერთ-კაცი შვილად აძლევს თვის ყოვლად წმიდა დედას. ყველა წმიდანი მოციქულნი მოწამეთა სიკვდილით კვდებიან; იოანესი კი თითქოს ეშინის სატანჯველსა და წამებითს სიკვდილსა, მდუღარე ფისი, რომელშიაც ჩაუშვეს წმიდა იოანე უწყალოს დომიციანეს ბრძანებითა, არას ავნებს-რა; არც სატკივარი აგრძნობინა ქრისტეს საყვარელს მოწაფესა და იგი წამებისაგან კი არ მოკვდა, არამედ ბუნებითის სიკვდილითა. რა არის საიდუმლოება ამ სიყვარულისა, რომელსაც ყველასგანა ჰხედავდა წმიდა იოანე ღვთის-მეტყველი?.. რა არის მიზეზი იმ გასაკვირველის მოვლენისა, რომ არც შური, არც კაცის ავობა, არც საფრხეობა, არც უბედურება და სატანჯველი არ ეხება წმიდა იოანესა? მიზეზი ყოვლისა ამის სიყვარულია, რომლითაც აღსავსე იყო იოანე ღვთის-მეტყველი და რომელიც ყველას მიიზიდავდა თვისდამი.

ამ გვარ კაცთა, იოანე ღვთისმეტყველის მსგავსთა მოსიყვარულეთა, რომელთაც ღვთისაგან მიუღიათ საკუთარი სულიერი თვისება ყველას მიმზიდველობისა, ამ გვართა ეკუთვნის განსვენებული მოძმე ჩვენი თავადი გრიგოლ... ეს არის ამხსნელი საზოგადო სიყვარულისა მისდამი. ამ სიყვარულის ღირსად ხდიდენ და გამომჩვენებით აცხადებდენ ამას რუსეთის ხელმწიფენი. სიყვარულის ხმა ესმოდა და ესმის ყოვლის მხრით: სასახლეებიდგან და ქოხებიდგან, დიდებულთა და მცირეთაგან, მდიდართა და ღარიბთაგან... როგორც ჩინებული მხედარი და სარდალი, იგი იცავდა სამხედრო წესიერებას; როგორც გამგებელი—იცავდა რიგს, სამართალს და სიმართლეს მისდევდა და ყოველ ამას იქმოდა ისე, რომ მტრობას არ აღვიძებდა, არამედ სხვების გულს იგებდა. იგი ღირსი შეიქმნა მაღალის ხარისხისა, დიდის პატივისა სახელმწიფოისა; მან მოიხვეჭა დიდება სახალხო პოეტისა; და არ იშოვა მოშურნენი. იგი ყველას თვისკენ იზიდავდა, ვისაც-კი შემთხვევა ჰქონია მასთან მიკარებისა... დიდია ძალი სიყვარულისა! იგი სრულებით ბუნებითად იზიდავს თვისკენ სიყვარულსა...

უკანასკნელ სალმობასთან ძვირფასი განსვენებული რა კეთილის სურვილით უნდა გავისტუმროთ მიმავალი საიქიოს სოფელსა? ვისურვოთ, რომ უფალმან მიაგოს მას საუკუნოდ იგი, რასაცა მიაგებს საერთოდ მოსიყვარულე კაცთა. უფალმა ცოდვილს დედა-კაცს, რომელმაც იწყო დალტობად ცრემლითა ფერხთა მისთა და თმითა თავისა მისისათა წარჰხოცდა, და ამბორს-უყოფდა ფერხთა მისთა, და სცხებდა „ნელსაცხებელსა“ (ლუკ. 7, 38), მიუტევნა ცოდვანი მრავალნი, რამეთუ შეიყვარა ფრიად იგი (ლუკ. 7,47). მიუტევოს უფალმა ღმერთმა განსვენებულს მონასა თვისსა თავადს გრიგოლს ყოველნი ცოდვანი მისნი ნებრითნი და უნებლიეთნი სიყვარულისათვის ღვთისა და მოყვარისა, რომლითაც [illegible] სული მისი... ღმერთ[illegible] ქვეყანას, სადაც სარწმუნოება და სასოება იცვლების ღვთის სახის ხილვითა და ნეტარის სინამდვილითა, და სადაც ყოველთაზე და უძვირფასესია და საუკუნოდ ჰშთება სიყვარული,— დაადგინოს სიყვარულის მქონებელი განსვენებული უკეთესთაგან სავანესა სახლისა მამისა თვისისა ზეცათასა.

ვმადლობდეთ უფალსა ღმერთსა მისთვის, რომ მან მოანიჭა ჩვენს ქვეყანას განსვენებულის ჩვენის მოძმე გრიგოლის პიროვნობით, კაცი ესრედ განწმენდილი, მოსიყვარულე, ყოველგან მიმტანი მშვიდობისა და სიყვარულისა. ვმადლობდეთ უფალსა ღმერთსა მისთვის, რომ მან ადრე არ წარიტაცა იგი კაცთაგან, **„არა სცვალნეს ბოროტებამან გონება მისი ანუ მლიქვნელობამან წარიტაცნეს სული მისი** (სიბრძ. სოლომ. 4, 11), არამედ მიანიჭა სიცოცხლე ხანგრძლივი და მასთან ძალი და ღონე არა თუ უარესად ცვალებისათვის, არამედ ბევრის კეთილის და სახელოვანის საქმეებისათვის სადიდებლად ღვთისა და სასიკეთოთ მოყვრისა.

**იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ აწ და უკუნისამდე! ამინ.**

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ო რ შ ა ბ ა თ ს.** გრაალევიჩი და ლისიცკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი მარლვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს .** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცკი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცკი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და

უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში ისყიდება აბრაშუმის ჭიის თესლი ფასი მისხლისა 50 კაპ.

---

რადგან მივდივართ,

ისყიდება 5 ნაწილი ადგილისა წყლის ნაპირას ახალი ხიდის მახლობ; პირობის შეტყობა შეიძლება ინგლისის მაღაზიაში.

ამავე მიზეზით ისყიდება ნახევარ ფასად: ტანთ-საცმელი, ტრიკო, შალის ჩულქები და სხ. და სხვ.

იქვე აუარებელი რკინის კალმები, რკინის ტახტები, ჩაი 1 მოსავლისა, კაცისა და ქალის უნაგირები, საპონი და სხვ და სხვა—25% ნაკლებ სანამ სხვაგან. გლიცერინის საპონი 40 კ. გირვანქა!

ინდოეთის ბრინჯი 5 კ. (10—5)

---

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

შადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—56)

---

საავადმყოფო

ექიმის პავლოვსკისა

კუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლინკოსი, ვარანცოვის ძეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. გ. ლუნკევიჩი თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად-მყ., 10—11½-დის ქალი-ექიმი ა. გ. სმოილოვიჩისა ქალის და უმაწვილის ავად-მყ., 11½—12½ საათამდის ა. ა. პავლოვსკი შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. პავლოვსკი ელექტრო-ტერაპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ეძლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. საავად-მყოფოში არის კეფირი.

დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი. (20—14)

---

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება.

საქართველოს სამოთხე

გამოცემული მიხეილ საბინიძის-მიერ. ფასი ყველგან ხვიდმეტი მანეთი. გარეშე პირთ შეუძლიანთ მიმართონ ზ. ზაქარია ჭიჭინაძეს, აღნიშნულის ფასით. კი, ნერვულ და შინაგან ავად-მყ.; საღამოს: 4—5 საათამდის ე. ს. ბაბოვი

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

საყმაწვილო ბაღი

№ 1

საყმაწვილო დრო-გამოშვებითი გამოცემა, გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ. მოსწავლეთათვის 20 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

სალამური

№ 1.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

---

ახალი ქართული

# კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

ახალი წიგნი

ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული

საქართველოს

# ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

დედა და შვილი

და

რამდენიმე ლექსი

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე,

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

# ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ზედამხედველი კამიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა ამით აცნობებს ბბ-თ ამა ბანკის დამფუძნებელთ და მსესხებელთა, რომ 1 მაისს ამა 1883 წლისა არწრუნის სახლებში სასახლის ქუჩაზე დანიშნულია საზოგადო კრება წევრთა, რომელთაც წარედგინებათ განსახილველად და დასამტკიცებლად:

ა) დადგინება ზედამხედველის კამიტეტისა ბანკის მოქმედების შესახებ 1882 წელს.

ბ) მოხსენება საგუბერნიო კრების პროტოკოლისა, შესახებ ბანკის დამფუძნებელ წევრად ჩაწერისა.

გ) მოხსენება ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წესდების მე-14 და 35 მუხლთა შეცვლისა და შევსების თაობაზედ.

დ) მოხსენება შესახებ შეცვლისა და შევსებისა წესდებათა, დადგენილთა დაგირავებულ მამულების ვაჭრობის თაობაზედ—თანაბრად უმაღლესად დამტკიცებულის აზრისა სახელმწიფო რჩევისაგან. (კრება წესდ. 1882 წ. ივლისის 30 დღეს № 70)

ე) მოხსენება საზოგადო სარგებლობათა შესახებ, რაზედაც უნდა მოხმარდეს დარჩომილი საერთო სარგებლისაგან საანგარიშო წლის—19,348 მან. და 97 კაპ.

ვ) მოხსენება შესახებ შევსებისა ბანკის საზოგადო კრების დადგინებაზედ, თუ რა რიგად აღმორჩეულ უნდა იქმნენ დამფასებელის კამიტეტის წევრნი.

ზ) განხილვა 1882 წლის ბანკის ხარჯისა.

ჱ) აღმორჩევა ზედამხედველის კამიტეტის სამის წევრისა, ნაცვლად ადრინდელთა: კ. ხ. მამაცაშვილისა, ავად-მყოფობის გამო, თავ. იასე ანდრონიკაშვილისა და გრიგოლ გაბაშვილისა, რომელიც წავიდა ტფილისიდამ.

თ) აღმორჩევა გამგეობის ერთის წევრისა თავ. დავით ავალიშვილის მაგიერ, რომელიც რიგისა-მებრ სტოებს ამ თანამდებობას; ორ წევრთა დამფასებელის კამისიისა თავ. ი. გ. მაჩაბლისა და ა. ნ. ფურცელაძის მაგიერ, რომელთაგან ერთ-ერთი წილის-ყრით უნდა გამოვიდეს სამსახურიდამ და აღმორჩევა ამათის კანდიდატისა.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

„ციკო“

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლეც ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—20)

---

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფაღნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, აღბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—45)

---

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

№ 1

ჩახრუხაძე

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

---

ტაქსია

საქვებაც ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის—1 გირ. 5½

მეორის „ —1 გირ. 3½

მესამის „ —1 გირ. —

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გირ. 5½

მეორის „ —1 გირ. 4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 5½

მეორის „ „ —1 გირ. 4½

მესამის „ „ —1 გირ. 4 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გირ. 11 კ.

მეორის „ —1 გირ. 9 კ.

სუკი — — —1 გირ. 17 კ.

ცხვრის ხორცი 1 გირ. 11 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის —1 გირ. —

მეორის „ —1 გირ. —

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Апрѣля 1883 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.